პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
23 აპრილი
1939 წ.
№ 93 (5493)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსიზმ-ლენინიზმით შევაიარაღოთ მთელი საბჭოთა ინტელიგენცია

ჩვენი ქვეყნის ერთერთ უდიდეს წარმატებას წარმოადგენს ახალი, ხალხური, სოციალისტური ინტელიგენციის შექმნა. ვერცერთი სახელმწიფო იოლად ვერ წავა უინტელიგენციოდ, მით უფრო იოლად ვერ წავა თავისი ინტელიგენციის გარეშე მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო. ჩვენ, კომუნიზმის დიადი შენობის მშენებლებს, გვჭირდება რაც შეიძლება მეტი კულტურული ძალები, რაც შეიძლება მეტი ინჟინრები, ტექნიკოსები, აგრონომები, ექიმები, პედაგოგები, არქიტექტორები, მწერლები, მსახიობები, ჟურნალისტები. სოციალიზმის ქვეყანაში მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, ხელოვნების მუშაკები მაღლა არიან დაყენებულნი, ვინაიდან ჩვენი საზოგადოება ანსახიერებს პროგრესს, ხორცს ასხამს ყველაზე მოწინავე იდეებს, ყველაზე გაბედულ მისწრაფებებს.

საბჭოთა ინტელიგენციის არმიას თავის რიგებში დაახლოებით ათი მილიონი კაცი ჰყავს. მათი დიდი უმრავლესობაა გუშინდელი მუშები და გლეხები და მუშათა და გლეხთა შვილები, მეთაურთა პოსტებზე დაწინაურებულნი. ხალხიდან გამოსული, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ძუძუნაწოვი და გამოზრდილი საბჭოთა ინტელიგენცია პატიოსნად და თავგამოდებით ემსახურება თავის ხალხს. იგი ამ ხალხს მთელ თავის ძალას, მთელ თავის სიცოცხლეს ახმარებს, მთელი მისი მომავალი მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხთან, კომუნიზმის საქმესთან.

პარტიამ გადაჭრით დაჰგმო ინტელიგენციისადმი ხეპრული, ათვალისწუნებითი დამოკიდებულება, რამაც ფესვი გაიდგა ჩვენს მუშაკთა ზოგიერთ ნაწილში.

„ახალი ინტელიგენციისათვის საჭიროა ახალი თეორია, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა მასთან მეგობრული დამოკიდებულება, მისთვის ზრუნვა, პატივისცემა მისდამი და თანამშრომლობა მასთან მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესებისათვის“. (სტალინი).

ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის იდეური აღზრდის საკითხი მთელი სიმწვავით დგას. ერთი წუთითაც ვერ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ინტელიგენცია სოციალისტური მშენებლობის მეთაურთა კადრებია. ხოლო მეთაურის კომუნისტურ შეგნებულობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყოველი საბჭოთა ინტელიგენტი ასრულებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფუნქციას, მუშაობს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებაზე, მას თან მიჰყავს ადამიანთა ესათუის ჯგუფი, ის ყოველდღე ხვდება ადამიანებს, იღებს გადაწყვეტილებებს, ერთი სიტყვით, არის კომუნიზმის მშენებელთა მასების ხელმძღვანელი.

ასეთ პირობებში, შემოქმედებითი მუშაობის უმაგალითო გაქანების პირობებში არ შეიძლება ჩაიკეტო მხოლოდ ყოველდღიურ საქმეებში, არ შეიძლება იცხოვრო მხოლოდ მიმდინარე საჭიროებებით, მხოლოდ დღევანდელი დღის ინტერესებით. უნდა იცოდე, თუ რისთვის მუშაობ, ნათლად და გარკვევით უნდა გქონდეს წარმოდგენილი ჩვენი განვითარების გენერალური გზა, უნდა ხედავდე პერსპექტივას, განიცდიდე ცხოვრების მაჯისცემას, უნდა გრძნობდე თავს დიადი ისტორიული საქმის — კომუნიზმის მშენებლობის მოწინავე მონაწილედ. მაშინ სხვანაირად წარმოგიდგება ყოველდღიური მუშაობა, მისი აზრი, მნიშვნელობა, მისი ადგილი საბჭოთა ხალხის საერთო მუშაობაში.

მარქსისტულ-ლენინური თეორია—აი უტყუარი კომპასი ცხოვრებაში. თვითეული ჩვენი მუშაკი, დამოუკიდებლად თავისი პროფესიისა ან სპეციალობისა, ვალდებულია ჰფლობდეს ამ კომპასს, ჩვენს დროში არ შეიძლება იყო მხოლოდ ტექნიკოსი, მხოლოდ აგრონომი ან მხოლოდ პედაგოგი. თავის სპეციალობაში ჩაკეტილი ადამიანი, რომელიც თავისი ლაბორატორიის, ან დაწესებულების იქით ვერაფერს ხედავს, კომუნიზმის ნამდვილ მშენებლად ვერ ჩაითვლება. ცხოვრება, ისტორიული მოვლენები განზე ჩაუვლის ასეთ ადამიანს, იგი მათ უკეთეს შემთხვევაში შეაფასებს როგორც ობივატელი, ხოლო რა უნდა იყოს ასეთ ხვედრზე უფრო სავალალო საბჭოთა სპეციალისტისათვის, რომელიც ასეთ საინტერესო, ბრწყინვალე წლებში ცხოვრობს?!

ამხანაგი სტალინი პარტიის XVIII ყრილობაზე ამბობდა, რომ არსებობს მეცნიერების ერთი დარგი, რომლის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს მეცნიერების ყველა დარგის ბოლშევიკებისათვის. ეს არის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოების შესახებ, საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, პროლეტარული რევოლუციის განვითარების კანონების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის შესახებ. ლენინელს,—მიგვითითებდა ამხანაგი სტალინი,—არ შეუძლია იყოს მხოლოდ მის მიერ არჩეული მეცნიერების დარგის სპეციალისტი,—„იგი ამასთანავე ერთად უნდა იყოს პოლიტიკოსი—საზოგადოებრივი მუშაკი, რომელიც ცხოველი ინტერესით ეკიდება თავისი ქვეყნის ბედს, რომელიც იცნობს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს ეს კანონები და რომელიც ცდილობს იყოს ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის აქტიური მონაწილე“.

ამ სიტყვებით მოცემულია პარტიული და არაპარტიული საბჭოთა სპეციალისტის ტიპი. თავისი საქმის, თავისი სპეციალობის ღრმა ცოდნა მასში მარქსისტულ-ლენინურ მომზადებასთან არის შეხამებული. ეს არის არა მარტო კარგი ინჟინერი ან ექიმი, ეს არის სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც ესმის ჩვენი სოციალისტური საზოგადოების მიზნები და ამოცანები, რომელიც თავისი მაგალითით აღაგზნებს ყველა მშრომელს.

დაუვიწყარი სერგეი მირონის-ძე კიროვი ერთერთ თავის სიტყვაში აღნიშნავდა, რომ ყოველი მეცნიერება, მათ შორის ტექნიკა და მექანიკა, ჩვენ ისეთ სიმაღლეზე უნდა ავიყვანოთ, როგორიც კაპიტალისტური ქვეყნებისათვის მიუწვდომელია. მაგალითად, მეცნიერება მასალათა გამძლეობის შესახებ მეტად საჭირო მეცნიერებაა. „მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, — ამბობდა იგი, — რომ ჩვენ ისეთ ვითარებაში ვცხოვრობთ, როდესაც იმ მეცნიერებას, რომელიც ჩვენი ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს იქით ჩვენი მოპირდაპირე კლასების წინააღმდეგობას სწავლობს, — ამ მეცნიერებას პირველი ადგილი უნდა ეკავოს“.

ჩვენ ვერ დავივიწყებთ იმას, რომ სწორედ ინტელიგენციაში პოლიტიკური მუშაობის უყურადღებოდ მიტოვებას მოჰყვა ის, რომ ჩვენი კადრების ის ნაწილი, რომელიც პარტიის პოლიტიკური გავლენის გარეშე აღმოჩნდა და იდეურ წრთობას მოკლებული იყო, პოლიტიკურად გადაგვარდა, დაიბნა და უცხოეთის დაზვერვათა მსხვერპლი გახდა. ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი არამზადები ოსტატურად იბირებდნენ იდეურად უშინაარსო, გზააბნეულ ადამიანებს და აბამდნენ მათ ჯაშუშურ და მავნებლურ საქმიანობაში. ტროცკისტ-ბუხარინელ ჯაშუშებს არავითარი ტექნიკური უპირატესობა არ ჰქონდათ ჩვენი ადამიანების წინაშე. ისინი ატყუებდნენ მათ პოლიტიკურად, სარგებლობდნენ რა ამ ადამიანთა ბრმა ნდობით, პოლიტიკური უხერხემლობითა და პოლიტიკური უდარდელობით.

ცნობილია საკმაოდ ბევრი ფაქტი, როდესაც ჩვენი ინჟინერ-კომუნისტები მავნებლების გვერდით მუშაობდნენ და ვერ ამჩნევდნენ მათს მავნებლურ საქმეებს, სანამ საგამომძიებლო ორგანოებმა მავნებლები არ გამოააშკარავეს. რა არის ამგვარ მოვლენათა მიზეზები? როგორც წესი, პოლიტიკური უდარდელობა. კომუნისტები ადვილად უჯერებდნენ მავნებელს, რომელიც ამბობდა ავარია ტექნიკური დეფექტებით არის გამოწვეულიო, და თავს არ იწუხებდნენ იმისათვის, რომ ნამდვილი მიზეზები გამოერკვიათ. ამათუიმ დეტალის უქონლობას იოლად ხსნიდნენ ლითონის მომარაგების შეფერხებით. ათობით სხვა წვრილი თუ მსხვილი ნაკლი აგრეთვე პოულობდა გამართლებას. კაპიტალისტური გარემოცვა, კლასობრივი ბრძოლა ასეთ ადამიანებს შორეულ რამედ ჰქონდათ წარმოდგენილი, მათ აზრადაც კი არ მოსდიოდათ, რომ კაპიტალისტური გარემოცვის აგენტებს შეუძლიათ მუშაობა აქვე, ამავე ქარხანაში, პატიოსანი მუშაკების გვერდით.

სხვანაირად იქცევა საბჭოთა სპეციალისტი, მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული, საზოგადოებრივი განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის კანონების ცოდნით შეიარაღებული. ის თავს არავის მოატყუებინებს, ის ძლიერი იქნება ტექნიკურადაც და პოლიტიკურადაც, იგი შესძლებს დროზე გამოიცნოს, გამოააშკარაოს მტერი. მისი ხედვა შეზღუდული არ არის ქარხნის ჰიშკრებით ან თავისი ბინის კედლებით, მან იცის ის ადგილი, რომელიც მსოფლიოში ჩვენს სახელმწიფოს უკავია, მან იცის, თუ ვინ არიან მისი მეგობრები და მტრები, იცის ისტორიული განვითარების მსვლელობა.

მარქსისტულ-ლენინური ცოდნის დაუფლება—შეძენის საქმე, და იგი პრაქტიკულ რელსებზე უნდა დავაყენოთ. კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება სტუდენტობაში. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ამჟამად დაახლოებით 600 ათასი ახალგაზრდა სწავლობს, რაც თითქმის ექვსჯერ აღემატება რევოლუციამდელი რუსეთის სტუდენტთა რაოდენობას. დღეს სტუდენტია, ხვალ კი წარმოების მეთაურია. რაც უფრო მტკიცე იქნება მარქსისტულ-ლენინური გამოწრთობა უმაღლეს სასწავლებელში, მით უფრო მეტი გულდაჯერებულობით იმოქმედებენ ახალგაზრდა მეთაურები პრაქტიკულ მუშაობაში, მით უფრო ჩქარა მიაღწევენ ისინი წარმატებას. ახალგაზრდა საბჭოთა ინტელიგენციის აღზრდისათვის კომკავშირს განსაკუთრებით ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს და უნდა გააკეთოს კიდეც.

მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლაში საბჭოთა ინტელიგენცია იპოვნის ძალთა იმ წყაროს, რომელიც მის შრომას კიდევ უფრო ნაყოფიერს, შთაგონებულს გახდის, იმ წყაროს, რომელიც მისცემს მას მკაფიო წარმოდგენას ჩვენი დღეების სიდიადეზე. იმ უაღრესად საინტერესო მუშაობაზე, რაც წილად ხვდა ჩვენს ინტელიგენციას.

ინჟინერთა, მასწავლებელთა, არქიტექტორთა, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა მიტინგებმა და კრებებმა, რაც მთელი ქვეყნის ყველა დიდ ცენტრში ჩატარდა და რაც საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შედეგებს მიეძღვნა, გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ინტელიგენცია უდიდეს ინტერესს იჩენს მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლისადმი. მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, ხელოვნების ყველა დარგის მოღვაწენი ისე, როგორც არასოდეს, გრძნობენ იმის საჭიროებას, რომ თავიანთი მუშაობა სპეციალობის დარგში, და პოლიტიკური ცოდნის შეთვისება ერთ მთლიანად შეადუღონ. ყველა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციის მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყონ ამ მისწრაფებებს, მოიმოქმედონ ყოველივე, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ მთელმა ჩვენმა საბჭოთა ინტელიგენციამ მტკიცე, იდეური მარქსისტულ-ლენინური გამოწრთობა მიიღოს. ამ ამოცანის განსახორციელებლად პროპაგანდისა და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ. ეს საქმე უეჭველად დაგვირგვინდება წარმატებით, იმიტომ რომ იგი შეეფერება მზარდი საბჭოთა ინტელიგენციის სასიცოცხლო ინტერესებს, მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესებს.

„პრავდის“ მოწინავე 22/IV.

ფრანკლინ რუზველტის დეპეშა ამხ. მ. ი. კალინინს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„მივიღე თქვენი მეგობრული მომართვა და მოხარული ვარ, რომ თქვენი შეხედულება ჩემს ღონისძიებებზე საყოველთაო მშვიდობიანობის სასარგებლოდ სავსებით ეთანხმება ასეთსავე შეხედულებებს, გამოთქმულს მთელ რიგ სხვა სახელმწიფოთა მეთაურების მიერ.

ფრანკლინ რუზველტი“

25 აპრილს, დილის 11 საათზე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში შესდგება საკოლმეურნეო და ბრიგადული კედლის გაზეთების რედაქტორთა დაუსწრებელი კურსების ფრიადოსან მსმენელთა

რესპუბლიკური თათბირი

ყველა ის ამხანაგები, რომლებიც გამოძახებული არიან, დაუგვიანებლივ უნდა გამოცხადდნენ.

დონბასის მაღაროელთა დელეგაციის ჩამოსვლა აკარმარაში

აკარმარა, 22 აპრილი (საქდესი). 21 აპრილს აკარმარაში ჩამოვიდა სერგოს რაიონის № 22/6 და № 77 შახტების (ტრესტი „კიროვუგოლი“, დონბასი) მაღაროელთა დელეგაცია ტყვარჩელქვანახშირის მაღაროელებთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დასადებად და ხელმოსაწერად, აგრეთვე მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად. დელეგაციაში შედიან: № 22/6 შახტის წარმომადგენლები — მეორე უბნის უფროსი ამხ. ს. ტ. კომაროვი, ორდენოსანი ბრიგადირი ამხ. ვ. ვ. პოკლადი, მოძრაობის ათისთავი, ორდენოსანი ამხ. უ. ა. კალუგინა, № 77 შახტის მნგრეველთა ბრიგადირი ორდენოსანი ამხ. გილმუტდინა ვაინუტდინოვი და გაზეთ „პუტ სერგოს“ წარმომადგენელი ამხ. ი. ა. გუსევი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივების დაჯილდოების შესახებ

ელექტროსადგურებში შესანიშნავი და უავარიო მუშაობისათვის, სტახანოვური მოძრაობის წარმატებით ორგანიზაციისა და ახალ-ახალი ტიპის ენერგოტექნიკური მოწყობილობის წარმოების ათვისებისათვის ელექტრომრეწველობის საწარმოებში — **დაჯილდოებულ იქნა** შემდეგი საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივები:

ლენინის ორდენით

1. შატურის ლენინის სახელობის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთა კოლექტივი.
2. კაშირის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთა კოლექტივი.
3. კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილის“ მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთა კოლექტივი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. დნეპრის ლენინის სახელობის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის „დნეპრჰესის“ მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთა კოლექტივი.
2. ზუევოს სახელმწიფო რაიონული ელსადგურის მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთა კოლექტივი.
3. მოსკოვის კუიბიშევის სახელობის სატრანსფორმატორო ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთა კოლექტივი.
4. ნევის ლენინის სახელობის ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკური და სამეურნეო მუშაკთა კოლექტივი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1939 წლის 21 აპრილი.

ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება

მუშაობის შესანიშნავი სტახანოვური მეთოდებისა და ცალკეულ საწარმოებში ახალი ტიპის ელექტრო და თბომანქანების ათვისებისათვის ელექტროსადგურებსა, ელექტროქსელსა, საამქროებსა და აგრეგატებში უავარიო მომჭირნეობითი მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით დააჯილდოვა ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მთელი რიგი მუშაკები.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 39 კაცი. მათ შორის: ნ. ნ. **აბრამენკო** — დნეპრჰესის ელექტროსაამქროს ოსტატი, ა. პ. **აგეევი** — ლენინგრადის მე-8 ელექტროსადგურის ელექტრომონტიორი, ა. ვ. **ბარანოვა** — კუიბიშევის სახელობის სატრანსფორმატორო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი, ნ. ფ. **ბელეცკი** — ხარკოვის სტალინის სახელობის ტურბოგენერატორული ქარხნის სატურბინო საამქროს ზეინკალი, მ. დ. **ბლინკოვა** — კუიბიშევის სახელობის სატრანსფორმატორო ქარხნის საგრაგნილო სახელოსნოს მეგრაგნილე, ვ. ვ. **ბოგატიროვი** — სტალინოგორსკის სახელმწიფო რაიონული ელსადგურის მშენებლობის ყოფილი უფროსი, ამჟამად ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე, ვ. ს. **ბრილი**—კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილის“ ყოფილი დირექტორი, ამჟამად ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე, ა. ი. **ლეტკოვი** — სამხრეთის ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელის მთავარსამმართველოს ყოფილი უფროსი, ამჟამად ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე, ა. გ. **მამედოვი**—აზენერგოს სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის „კრასნაია ზვეზდის“ უფროსი ცეცხლფარეში, მ. გ. **პერვუხინი** — კაშირის ჰიდროელექტროსადგურის ყოფილი დირექტორი, ამჟამად ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარი, წინათ დაჯილდოებული შრომის წითელი დროშის ორდენით, პ. მ. **სერგიენკო** — ლენინგრადის მე-5 რაიონული ელექტროსადგურის ყოფილი დირექტორი, ამჟამად ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე, გ. ა. **სოლოვოვი** — კიზელოვის რაიონული ელექტროსადგურის ტურბინის მემანქანე, გ. ნ. **ცვეტკოვი** — მოსკოვის ელექტრონათურის ქარხნის დირექტორი, ს. ს. **შელომონოვი** — ქარხანა „ელექტროპროვოდის“ დირექტორი და სხვ.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 105 კაცი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია 144 კაცი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოებულია 125 კაცი, მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 136 კაცი. (საქდესი).

○

მოსკოვი, 22 აპრილი. მუშაობის შესანიშნავი სტახანოვური მეთოდების და ცალკეულ საწარმოებში ელექტრომანქანებისა და თბომანქანების ახალი ტიპების ათვისებისათვის ელექტროსადგურებზე, ელექტროქსელებზე, საამქროებში, აგრეგატებზე უავარიო, ეკონომიური მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 21 აპრილის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის 549 მუშაკი.

დაჯილდოებულთა შორის არიან: **ლენინის ორდენით:** არტემ კალანტარის-ძე **გრიგორიანი** — „ხრამჰესმშენის“ მეორე უბნის უფროსის თანაშემწე; **შრომის წითელი დროშის ორდენით:** არონ მარკოზის-ძე **გინდინი** — „ხრამჰესმშენის“ მშენებლობის მთავარი ინჟინერი, ბორის ერმალოზის-ძე **ლომიძე** — რიონჰესის დირექტორი; **საპატიო ნიშნის ორდენით:** ვახტანგ ლავრენტის-ძე **ჭანკოტაძე** — „ხრამჰესმშენის“ მშენებლობის უფროსი; **მედლით „შრომითი მამაცობისათვის“:** ხაჩატურ ბარსეგის-ძე **ანდრიასოვი** — საქენერგოს პირველი ქსელის რაიონის სარემონტო ბრიგადის ბრიგადირი, ნიკოლოზ ვასილის-ძე **მარტელერი** — ზაჰესის სატურბინო საამქროს ოსტატი. (საქდესი).

საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის მასალათა გამოცემა

96 მილიონი ცალი ბროშურა

ჩვენი ქვეყნის მილიონობით ადამიანები უდიდესი ინტერესით სწავლობენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მასალებს. ყრილობის მასალების შემცველ ბროშურებს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში შეხვდებით.

ამხანაგ სტალინის საანგარიშო მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, რაც 15 მილიონ ცალად გამოიცა, ახლა დამატებით იბეჭდება 5 მილიონ ცალად. მრავალმილიონიან ცალად გამოიცა ამხანაგ სტალინის თანამებრძოლთა მოხსენებანი და სიტყვები, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციები და წესდება. მაგრამ გამოცემათა ტირაჟი ვერ აკმაყოფილებს ადგილების მთელ მოთხოვნილებას. ყრილობის მასალების გამოცემათა საერთო ტირაჟი 96 მილიონ ცალს აღწევს. (საქდესი).

პარტიული ქრონიკა

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტი და მოსკოვის საქალაქო კომიტეტი პრესის დღის ჩატარების შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტმა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტმა მიიღეს გადაწყვეტილება პრესის დღის ჩატარების შესახებ. პრესის დღე უნდა ჩატარდეს იმ ნიშნით, რომ გაძლიერდეს პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობა და გადიდდეს მისი როლი მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდისა და საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საბრძოლო შესრულებისათვის მასების ორგანიზაციის საქმეში.

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტმა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტმა წინადადება მისცეს პარტიის რაიკომებს და საქალაქო კომიტეტებს ჩაატარონ პარტიულ-კომკავშირული და მუშსოფლკორთა აქტივის კრებები რაიონული გაზეთების რედაქციების ანგარიშების განსახილველად. საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში ტარდება მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა კრებები. ამ კრებებზე განხილული იქნება მრავალტირაჟიანი გაზეთებისა და კედლის გაზეთების ანგარიშები.

გადაწყვეტილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული გაზეთების მუშაობის ნაკლოვანებათა ბოლშევიკური კრიტიკისა და მასებთან მათი კავშირის შემდგომი განმტკიცების ამოცანა.

უკრაინელი და მოლდაველი სტუმრები გორში

გორი, 22 აპრილი (ტელეგრაფით საქ. კორ). დღეს ქალაქ გორის ესტუმრნენ უკრაინისა და მოლდავეთის მშრომელთა წარმომადგენლები, სულ 300 კაცი. გორის სადგურზე სტუმრებს გულთბილი და ამხანაგური შეხვედრა მოუწყეს გორის მშრომელებმა. სადგურიდან სტუმრები გორის მშრომელებთან ერთად გაემგზავრნენ იმ სახლისაკენ, სადაც დაიბადა და თავისი ბავშვობა გაატარა ხალხთა დიდმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა**. ამ სახლთან შესდგა გაერთიანებული ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც გახსნა ამხ. კ. მამულაშვილმა. გორის მშრომელების სახელით სტუმრებს მისალმა ამხ. რ. მიქელაძე, საპასუხო სიტყვები წარმოსთქვეს ჩამოსული სტუმრების წარმომადგენლებმა: ამხ. შაპოვალენკომ, კარიაგინმა და ორდენოსანმა კოლმეურნემ რუდენკომ.

მიტინგი გადაიქცა ხალხთა სტალინური მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაციად. ტაშის გრიალსა და დიდი ბელადისადმი მიმართულ საზეიმო შეძახილებში მიტინგმა ერთხმად მიიღო ამხანაგ **სტალინისადმი** გასაგზავნი მისასალმებელი დეპეშა.

ხ. ყურაშვილი.

ი. მ. გუბკინი

მეცნიერი, პატრიოტი, ბოლშევიკი

შესწყდა მშვენიერი სიცოცხლე, გარდაიცვალა მეცნიერი, პატრიოტი და ბოლშევიკი, ჩვენი დიადი სამშობლოს მოქალაქე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ივანე მიხეილის-ძე გუბკინი.

ივანე მიხეილის-ძე გუბკინი ჩვენი დიადი სამშობლოს იმ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა პლეადა მსოფლიო მოწინავე მეცნიერებას ამშვენებს. ნამდვილი მოწინავე საბჭოთა მეცნიერების წარმომადგენელმა, მან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, როგორც უდიდესმა გეოლოგმა—ნავთის საქმის სპეციალისტმა. დიდი წარმატებით დაგვირგვინდა ივანე მიხეილის-ძის მეცნიერული პროგნოზები ნავთის საბადოების შესახებ და მუშაობა, რომელიც მან ბაქოს, გროზნისა და მაიკოპის ნავთის სარეწაოების აღდგენისა და განვითარებისათვის ჩაატარა ს. მ. კიროვისა და სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით.

გატაცებული და დაუღალავი მკვლევარი, გაბედული ნოვატორი, ნიჭიერი მეცნიერი, იგი არ კმაყოფილდებოდა მიღწეულით. მისი აზრი მუდამ ახალ-ახალი პრობლემების გადაწყვეტისაკენ იყო მიმართული. მისი პრაქტიკული მოღვაწეობის მიზანი იყო ჩვენი ქვეყნის ახალი ნავთიანი აუზების მოძებნა, მისი მეცნიერული მოღვაწეობა ბუნების ახალი საგანძურების აღმოჩენის საშუალებებით აიარაღებდა პრაქტიკოსებს.

ივანე მიხეილის-ძე, რომელიც მეცნიერებაში რევოლუციონერი იყო, ხოლო პრაქტიკაში — მეცნიერი, ღრმა პროგნოზებისა და გაბედული ექსპერიმენტების გზას დაადგა; მეცნიერულ წინამძღვართა შექმნით მან დიდი ღვაწლი დასდო „მეორე ბაქოს“ პრობლემის გადაწყვეტას.

ი. მ. გუბკინი პირადად ხელმძღვანელობდა იმ გეოლოგ-ნავთის საქმის სპეციალისტთა მრავალრიცხოვან კოლექტივს, რომლებიც ასრულებდნენ პარტიისა და მთავრობის დავალებებს სსრ კავშირის ნავთის მეორე ბაზის შექმნისა და გაძლიერების დარგში.

ივანე მიხეილის-ძის მეცნიერულსა და პრაქტიკულ დამსახურებას დიდად აფასებს მთელი გეოლოგიური სამყარო. გეოლოგთა XVII საერთაშორისო კონგრესის ყველა დელეგაცია ერთხმად ირჩევს მას კონგრესის პრეზიდენტად, იგი ხელმძღვანელობს ამ კონგრესის მუშაობას. ი. მ. გუბკინის მეცნიერული შრომები სამაგიდო წიგნია ყოველი გეოლოგ-ნავთის საქმის სპეციალისტისათვის, რომელ ქვეყანაშიაც უნდა მუშაობდეს იგი.

ივანე მიხეილის-ძე სამართლიანად ითვლება საბჭოთა გეოლოგიის ორგანიზატორად და ხელმძღვანელად. სამოქალაქო ომის მძიმე წლებში, მძიმე სამეურნეო ნგრევის წლებში ივანე მიხეილის-ძე მთელი თავისი არსებით მონაწილეობს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში; ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებით იგი იწყებს საბჭოთა კავშირის ვებერთელა სივრცეების ფართო გეოლოგიურ გამოკვლევებს. ჩვენმა სამშობლომ სტალინური ხუთწლედების განმავლობაში უმთავრესი მთამადნეულის გამოვლინებული მარაგის მხრივ მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა.

დიდია ი. მ. გუბკინის დამსახურება, როგორც პედაგოგისა. ივანე მიხეილის-ძე, რომელმაც განვლო გზა ღარიბი-გლეხობიდან, სოფლის მასწავლებლობიდან ვიდრე აკადემიკოსობამდე, დიდად აფასებდა თავისი ხალხის ნიჭიერებას და ღრმა სიყვარულით სწირავდა თავის ძალღონეს კადრების აღზრდის საქმეს, ივანე მიხეილის-ძე საბჭოთა მთავრობის წინაშე აყენებს საკითხს მოსკოვში პირველ საბჭოთა სამთო უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის შექმნის შესახებ. ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი დეკრეტით არსდება მოსკოვის სამთო აკადემია, რომელსაც სათავეში უდგება ი. მ. გუბკინი. ათასობით ნოვატორი გეოლოგი აღზარდა ი. მ. გუბკინმა.

ი. მ. გუბკინი, ხალხის ჭეშმარიტი შვილი, დიდად აფასებდა თავის ხალხს და უყვარდა იგი, ხალხის წყაროებში ჰპოვებდა ენერგიას, ხალხს ეყრდნობოდა თავის მოღვაწეობაში, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხთან. ი მ. გუბკინის მოღვაწეობას მუდამ თან ახლდა წარმატებანი; ეს იყო ნაყოფი არა მარტო ხალხთან მისი მჭიდრო კავშირისა და დიდი მეცნიერული ერუდიციისა, არამედ იმისაც, რომ ივანე მიხეილის-ძე თავის გაბედულ შემოქმედებაში მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოწინავე მოძღვრებით ხელმძღვანელობდა.

როგორც ადამიანი, ივანე მიხეილის-ძე მაგალითია თავისი ხალხის უსაზღვრო ერთგულებისა, მაგალითია ლენინ-სტალინის პარტიის გენერალური ხაზისათვის მგზნებარე და შეურიგებელი მებრძოლისა. რომელ უბანზედაც უნდა ემუშავა, იგი ერთგული ბოლშევიკი-სტალინელი რჩებოდა, მეცნიერებასა და პრაქტიკაში გაბედულ თაოსნობას აქეზებდა, მთელი თავისი მეცნიერულ-საზოგადოებრივი ავტორიტეტით თავს ატყდებოდა ცრუმეცნიერულ დამახინჯებებს თეორიასა და პრაქტიკაში.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ შესანიშნავი შრომებისათვის ი. მ. გუბკინი ლენინის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

საბჭოთა მეცნიერებამ და მთელი მსოფლიოს გეოლოგებმა ი. მ. გუბკინის სახით მძიმე დანაკლისი განიცადეს. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია გლოვობს ამ მძიმე დანაკლისის გამო და მოუწოდებს ჩვენი ქვეყნის ყველა მეცნიერს და მთელ მოწინავე ტექნიკურ ინტელიგენციას კიდევ უფრო აქტიურად იმუშაონ და თავდადებით იბრძოლონ კომუნიზმის გამარჯვებისათვის, რასაც მოანდომა თავისი მშვენიერი სიცოცხლე ივანე მიხეილის-ძე გუბკინმა.

აკადემიკოსები: ვ. ლ. კომაროვი, ო. ი. შმიდტი, ე. ა. ჩუდაკოვი, ა. ნ. კოლმოგოროვი, ა. ნ. ბახი, პ. ი. სტეპანოვი, ლ. ა. ორბელი, ვ. პ. ნიკიტინი, ა. მ. დებორინი, ე. ს. ვარგა, ი. ი. მეშჩანინოვი, ა. ა. ბოგომოლეცი, ა. ი. ვიშინსკი, ტ. დ. ლისენკო, ვ. ნ. ობრაზცოვი, ა. ე. ფერსმანი, ა. ნ. კრილოვი, ს. ლ. საბოლევი, ა. დ. არხანგელსკი, ა. ა. გრიგორიევი, ვ. ა. ობრუჩევი, მ. ა. უსოვი, პ. პ. შირშოვი, ა. ა. ბორისიაკი, ბ. ა. კელერი, ნ. ვ. ციცინი, ს. ა. ჩაპლიგინი, ა. ს. სკოჩინსკი, ა. მ. ტერპიგორევი, ი. პ. ბარდინი, მ. ბ. მიტინი, ე. მ. იაროსლავსკი, ა. ნ. ტოლსტოი, ნ. ს. კურნაკოვი, ს. ს. ნამეტკინი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

21 აპრილს შესდგა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ი. მ. გუბკინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ი. მ. გუბკინის დაკრძალვის მოსაწყობად და მისი ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებათა შესამუშავებლად შექმნილია კომისია აკადემიკოს ვ. ლ. კომაროვის თავმჯდომარეობით.

აკადემიის პრეზიდიუმმა დაადგინა — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საწვავი მთამადნეულის ინსტიტუტს მიეკუთვნოს აკადემიკოს ი. მ. გუბკინის სახელი.

შექმნილია კომისია ი. მ. გუბკინის მეცნიერული მემკვიდრეობის დასამუშავებლად. კომისიის თავმჯდომარეა აკადემიკოსი ვ. ა. ობრუჩევი.

○

აკადემიკოსი ი. მ. გუბკინი დაკრძალულ იქნება 23 აპრილს ნოვოდევიჩის სასაფლაოზე. (საქდესი).

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსაგან

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 21 აპრილს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გეოლოგიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი ИВАНЕ МИХЕ-

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

სათბობ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი საბჭოთა გეოლოგი

ივანე მიხეილის-ძე გუბკინი,

რომელმაც მთელი თავისი ძალა მოახმარა სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის განვითარების საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანელ ფაშისტთა ტერიტორიული პრეტენზიები

პარიზი, 21 აპრილი (საკდესი). პარიზის პრესა ყურადღებას აქცევს სიტყვას, რომელიც გენერალმა ფრანკომ წარმოსთქვა მალაგაში. ფრანკომ თავის სიტყვაში განაცხადა: „ბრძოლის დროს, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით, ჩვენ მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ ვიბრძოდით“. შემდეგ ფრანკომ განაცხადა, რომ „ომი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა“.

საფრანგეთის გაზეთები ფრანკოს ამ გამოსვლას უკავშირებენ კამპანიას, რომელიც ამჟამად ესპანეთის ფაშისტურმა გაზეთებმა გააჩაღეს. მაგალითად, გაზეთი „დემინგო“, რომელიც სან-სებასტიანოში გამოდის, მოითხოვს ორანის (ალჟირში) წართმევას საფრანგეთისათვის. ესპანელ ფაშისტთა სევილიის გაზეთი მოითხოვს ესპანეთისათვის ტანჟერის, გიბრალტარისა და ალჟირის გადაცემას.

გაზეთი „ევრი“ იუწყება, რომ გუშინ ლონდონში მიღებულ იქნა ცნობები გენერალ ფრანკოს არმიის რეორგანიზაციის შესახებ, რასაც ანხორციელებენ გერმანელი და იტალიელი ინსტრუქტორები. არსებული ცნობების თანახმად, ა. წ. 10 აპრილისათვის გენერალ ფრანკოს არმიაში ნახევარმილიონამდე ესპანელი, იტალიელი და გერმანელი ჯარისკაცი ირიცხებოდა. როგორც „ევრი“ ამტკიცებს, ბერლინიდან და რომიდან მიღებული ბრძანებით, ამ არმიის რიცხვობრივი შემადგენლობა 28 აპრილისათვის 1 მილიონ კაცამდი უნდა გაიზარდოს.

ინგლისის პრესა გერმანიის მანევრის შესახებ

ლონდონი, 21 აპრილი (საკდესი). ინგლისის გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანიის მთავრობამ რუზველტის მიმართვაში მოხსენებულ მთელ რიგ მცირე ქვეყნების მთავრობებს მიმართა და მოსთხოვა პასუხი კითხვაზე—ფიქრობენ თუ არა, რომ მათ საფრთხე მოელით გერმანიის მხრივ? როგორც გაზეთები აღნიშნავენ, ეს მანევრი იმას ემყარება, რომ მცირე ქვეყნები გერმანიის ზეგავლენით ვერ გაბედავენ ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემას და იძულებული იქნებიან უარყოფითი პასუხი გასცენ. ამ სახელმწიფოთა უარყოფითს პასუხს ჰიტლერი 28 აპრილს თავის სიტყვაში რაიხსტაგის სხდომაზე გამოიყენებს, როგორც „საფუძველს“ რუზველტის მიმართვის გასაკრიტიკებლად.

ჩეხოსლოვაკიის იარაღის გაგზავნა იტალიაში

ლონდონი, 21 აპრილი (საკდესი). როგორც გაზეთ „ტაიმსის“ რომაელი კორესპონდენტი იუწყება, იტალიაში მიღებულია ჩეხოსლოვაკიის 60 ტანკი; ეს ტანკები იტალიის სამხედრო ხელისუფალთ ბრეშაში გადაეცა. იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში მიღებულია ჩეხოსლოვაკიის თვითმფრინავთა პარტია. ამ თვითმფრინავების ერთი ნაწილი გაგზავნილი იყო ბრინდიზში, ხოლო მეორე ნაწილი—ტარანტოში. ფიქრობენ, რომ იქიდან ეს თვითმფრინავები ლიბიაში და დოდეკანეზის კუნძულებზე გაიგზავნება.

ტანკები და თვითმფრინავები მიღებული იქნა გერმანელ მძღოლთა და მექანიკოსთა თანხლებით.

გერმანიის ზეგავლენა პოლონეთზე

პარიზი, 21 აპრილი (საკდესი). როგორც ტაბუი გაზეთ „ევრში“ აცხადებს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა პოლონეთის ბერლინელ ელჩ ლიპსკისთან შეხვედრის დროს გერმანიის მთავრობის სახელით წამოაყენა წინადადება, რათა გერმანიას დაეთმოს დანციგი და სანაპირო ტერიტორიის ვიწრო ზოლი, რომელიც აღმოსავლეთ პრუსიას დანარჩენ გერმანიასთან შეაერთებდა. „ამის სანაცვლოდ,—სწერს ტაბუი,—გერმანია პოლონეთს ჰპირდება, რომ მას დანციგზე ტრანზიტის უფლებას მიანიჭებს და გდინიას მისასვლელს დაუთმობს.

ამავე დროს გერმანიის და პოლონეთის მთავრობათა შორის უნდა დაიდოს შეთანხმება გერმანია-პოლონეთის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განგრძობისა და იმ ხელშეკრულების გაფართოების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს გერმანიის მიერ პოლონეთის კორიდორის გარანტირებას“. ტაბუი დასძენს, რომ პოლონეთის მთავრობისათვის ჰიტლერის მიერ მიცემულ წინადადებებს საფუძვლად უდევს მისწრაფება—„დაარწმუნონ პოლონეთი, რომ ნეიტრალური დარჩეს იმ შემთხვევაში, თუ საერთო კონფლიქტი შეიქმნება“.

გერმანელთა ჯაშუშობა ინგლისში

ლონდონი, 21 აპრილი (საკდესი). გერმანელი ჯაშუშის გასამართლება, რაც ჩარლეიში სწარმოებს, მთელი ინგლისის საზოგადოებრიობის უდიდეს ყურადღებას იქცევს. ინგლისის ხელისუფალნი ზომებს იღებენ, რათა გამოავლინონ ინგლისში გერმანელთა მიერ წარმოებული ჯაშუშობის ყველა აგენტი. გაზეთ „სტარის“ სიტყვით, გუშინ ინგლისის მზვერავმა ორგანოებმა გაჩხრიკეს კანტორა ლონდონის ერთერთი კომპანიისა, რომელზედაც ეჭვი აქვთ, რომ იგი დაკავშირებულია გერმანიის ჯაშუშურ ორგანიზაციებთან. გაზეთი „ივნინგ ნიუსი“ იუწყება, რომ ლონდონის ხელისუფლებამ რამდენიმე უცხოელს უბრძანა დასტოვონ ინგლისი.

გაზეთ „დეილი ჰერალდის“ სპეციალური კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ გესტაპო (გერმანიის საიდუმლო პოლიცია) „კომერციული საწარმოს“ სახით ამჟამად ინგლისში აწყობს „გერმანელ ფაშისტების საიდუმლო შტაბს“. კორესპონდენტის სიტყვით ამ „შტაბს“ დავალებული აქვს გაავრცელოს ინგლისის მოსახლეობაში სხვადასხვა ცრუ და პროვოკაციული ხმები. ამ „შტაბს“ დაკისრებული აქვს აგრეთვე შეაგროვოს მასალები ანტიფაშისტების საქმიანობაზე ინგლისში.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ჩუნცინელი, შანხაელი და ლონდონელი კორესპონდენტების ცნობათა მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ძიანსის პროვინციაში ჩინეთის ჯარი შეტევას ანვითარებს ნანჩანის სამხრეთ-დასავლეთით. მან მტრისაგან გასწმინდა ქალაქი ვანშოუგუნი.

ნანჩანის ჩრდილო-დასავლეთით იაპონელები დამარცხდნენ, როცა ისინი ცდილობდნენ წინ წაწეულიყვნენ უნინიდან ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით, ჩინეთის ჯარმა 19 აპრილს იაპონელები უნინის რაიონის მთელი რიგი პუნქტებიდან განდევნა და ქალაქს გარსშემოერტყა სამი მხრიდან. იაპონელთა ცდები, რომ ფინსინიდან დასავლეთი მიმართულებით წინ წაწეულიყვნენ, უშედეგო გამოდგა. ჩინეთის ჯართან ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა უკან დაიხიეს, ამასთან მათ მოუკლეს 100 კაცი, ფინსინის მახლობლად გამართულ ბრძოლაში ჩინეთის ჯარის ნაწილებმა მოსპეს იაპონიის ორი ტანკი.

ჩინელი პარტიზანები, რომელნიც ძიანსუს პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში მოქმედებენ, აქტიურ ოპერაციებს აწარმოებენ.

ჩრდილოეთ ჩინეთში

შანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ჩინეთის ჯარის ნაწილებმა, ერთი დღე-ღამის ბრძოლის შემდეგ, 17 აპრილს იაპონელები განდევნეს და ქალაქი იჩენი დაიკავეს. ამჟამად ბრძოლა სწარმოებს 30 კილომეტრზე იჩენის სამხრეთ-დასავლეთით. იაპონელთა იმ გარნიზონის დასახმარებლად, რომელმაც იჩენიდან უკან დაიხია, იაპონელთა სარდლობამ 2 ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმი გაგზავნა. ეს რაზმი ჩინეთის ჯარმა დაამარცხა.

შანსის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში ამ უკანასკნელი 2-3 დღის განმავლობაში ჩინეთის ჯარის ნაწილები გადავიდნენ იერიშზე იაპონელთა პოზიციების წინააღმდეგ და მრავალ ადგილას გარსშემოერტყნენ იაპონელთა გარნიზონებს. სინძიანის რაიონში (ხოუმის ჩრდილო-დასავლეთით) გაფართოებული ბრძოლა სწარმოებს. პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში იაპონიის ჯარის ნაწილები ცდილობდნენ შენჩიდან მიეტანად იერიში უჯაიზე. მათ შესძლეს ქალაქში შეჭრა, მაგრამ ჩინეთის ჯარის ნაწილების ძლიერი კონტრიერიშით იაპონელები კვლავ განდევნილ იქნენ. უჯაი ისევ ჩინელთა ხელშია.

16 აპრილს შენჩიში იაპონელთა წინააღმდეგ აჯანყდა და მთელი იარაღითურთ ჩინელთა მხარეზე გადავიდა მარიონეტულ ხელისუფალთა ჯარის რაზმი, რომელიც 900 კაცისაგან შესდგებოდა.

სამხრეთ ჩინეთში

იაპონიიდან სამხრეთ ჩინეთში ახალ-ახალი რეზერვები მიდის.

კანტონის დასავლეთით იაპონელთა სარდლობა მთელ ძალღონეს ხმარობს, რათა კვლავ დაეუფლოს ძენჩენს. ძენჩენის რაიონში გაფართოებული ბრძოლა სწარმოებს.

მარტის განმავლობაში იაპონელთა ავიაცია თავს დაესხა გუანდუნის პროვინციის 19 ქალაქს. ამ ქალაქებში ყუმბარებით დანგრეულია 594 სახლი მოკლულია 94 და დაჭრილია 150 მშვიდობიანი მცხოვრები.

მექსიკის ნავთის გატანა იტალიაში

პარიზი, 21 აპრილი (საკდესი). „რადიოს“ სააგენტოს რომაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იტალიასა და მექსიკას შორის დაიდო სავაჭრო შეთანხმება. ამ შეთანხმებით იტალია მექსიკაში შეისყიდის 90 მილიონ ლირის ნავთს, რის სანაცვლოდაც მექსიკა იტალიის ხელოვნურ აბრეშუმს მიიღებს. მექსიკის ნავთის გატანა იტალიაში 1 ივნისს დაიწყება, ამასთან მექსიკიდან იტალიაში ყოველთვიურად გატანილი იქნება 30.000 ტონამდე ნავთი.

პროვინციული ადმინისტრაციული ორგანოების არჩევნები ჰოლანდიაში

ამსტერდამი, 21 აპრილი (საკდესი). გამოქვეყნდა ჰოლანდიის 11 პროვინციის ადმინისტრაციული ორგანოების არჩევნების საბოლოო შედეგები. არჩევნები შესდგა 19 აპრილს. პროვინციული ორგანოების არჩევნების შედეგები გავლენას მოახდენენ აგრეთვე სენატის ნახევარი შემადგენლობის იმ არჩევნების შედეგებზე, რომელიც წელს უნდა ჩატარდეს, რამდენადაც სენატის წევრთა არჩევნებში მხოლოდ პროვინციული ორგანოების წევრები იღებენ მონაწილეობას.

პროვინციული ორგანოების არჩევნების შედეგები ასეთია: კათოლიკურმა პარტიამ მიიღო 186 მანდატი (1935 წლის არჩევნებთან შედარებით მოემატა 11 მანდატი), სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 124 მანდატი (დააკლდა ორი მანდატი), კალვინისტების პარტიამ—82 მანდატი, (მოემატა 7 მანდატი), ქრისტიანულ-ისტორიულმა პარტიამ—63 მანდატი (მოემატა 2 მანდატი), ლიბერალების პარტიამ—35 მანდატი, (მოემატა 2 მანდატი), თავისუფლად მოაზროვნე დემოკრატიულმა კავშირმა — 39 მანდატი (მოემატა 11 მანდატი), ნაციონალ-სოციალისტურმა (ფაშისტურმა) პარტიამ მიიღო 21 მანდატი (დააკლდა 23 მანდატი), კომუნისტურმა პარტიამ მიიღო 12 მანდატი, როგორც წინა არჩევნებში. გარდა ამისა, არჩევნებში გამოვიდა აგრეთვე ზოგიერთი წვრილი პარტია (დისიდენტი—კალვინისტები, „მემარცხენე“ სოციალ-დემოკრატები და სხვ.).

პროვინციული ორგანოების არჩევნების შედეგებმა ცხადჰყო, რომ ჰოლანდიის ხალხის ფართო მასებში იზრდება დემოკრატიული და ანტიფაშისტური განწყობილება.

ჰოლანდიის კომპარტიას ახლანდელი არჩევნების დროს არ წამოუყენებია თავისი კანდიდატები სამხრეთის სამ პროვინციაში, და ურჩია თავის მომხრეებს სოციალ-დემოკრატების კანდიდატებისათვის მიეცათ ხმა. მიუხედავად ამისა, მან ამჟამად მეტი ხმა მიიღო, ვიდრე 1935 წელს. თუ ამ სამ პროვინციას არ ჩავთვლით, ჰოლანდიის კომპარტიამ 1935 წელს 123.800 ხმა მიიღო, ამჟამად კი—132.700 ხმა, ე. ი. თითქმის 9.000 ხმით მეტი. ამსტერდამში ჰოლანდიის კომპარტიამ მიიღო ყველა ხმათა 13 პროცენტი, ნაცვლად 1935 წელს მიღებული 12 პროცენტისა.

რაფიელ ერისთავი

(დაბადებიდან 115 წლისთავის გამო)

რაფიელ ერისთავი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ - განმანთავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელ მოღვაწეთა თაობას ეკუთვნის. იგი თითქმის მთელ სამოც წელს ეწეოდა ენერგიულ სამწერლო მუშაობას.

რაფიელ ერისთავი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოღვაწე იყო. გარდა პოეზიისა, პროზის, დრამატურგიის, ლექსიკოლოგიისა და ფოლკლორის დარგებშიც მუშაობდა.

რაფ. ერისთავის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება და განვითარება პირველ პერიოდში არისტოკრატიული ლიტერატურის გავლენის ქვეშ მოექცა. იგი ა. ჭავჭავაძის და სხვათა სალხინო-სატრფიალო პოეტური შემოქმედების გამგრძელებლად გვევლინება.

შემდეგ პერიოდში რაფიელ ერისთავმა თავისი შემოქმედების მთავარ თემად ღარიბი გლეხობა გაიხადა. იგი მხატვრულ სახეებში იძლეოდა ღარიბი, დაბეჩავებული გლეხობის ცხოვრების სურათებს. რაფიელ ერისთავის დიდი ძალა და მნიშვნელობა, როგორც პოეტისა, დამყარებულია სწორედ ამ ლექსებზე.

ცნობილია, „საგლეხო რეფორმა“ თვითმპყრობელურმა მთავრობამ ისე ჩაატარა, რომ არსებითად მემამულეთა ინტერესები დაიცვა და ამიტომ გლეხობა კვლავ თავადაზნაურობის უღელში დარჩა.

ფორმალურმა თავისუფლებამ სრულიად ვერ გადასწყვიტა გლეხთა საკითხი. „რეფორმის“ შემდგომ პერიოდში ურთიერთობა ერთის მხრით გლეხობასა და მემამულეებს შორის და, მეორე მხრით, გლეხობასა და ბურჟუაზიულ - კულაკურ ფენებს შორის მეტად გამწვავდა.

ამ მოვლენას არ შეიძლებოდა არ გამოხმაურებოდა მხატვრული ლიტერატურა. ჩვენი „თერგდალეულები“ აწარმოებენ ბრძოლას ჯერ ბატონყმური ურთიერთობის მოსპობისათვის და შემდეგ იმ პირობების წინააღმდეგ, რომლებშიაც ჩაყენებულ იქნა გლეხობა „რეფორმის“ შემდეგ.

რაფ. ერისთავმა სწორედ ამ მოწინავე ინტელიგენციის გავლენა განიცადა და მთელი გულისყური გლეხობის ცხოვრების ჩვენებას მიაპყრო.

რაფ. ერისთავი უმთავრეს ყურადღებას აქცევს გლეხთა შრომას.

ღარიბი გლეხის დაუფარავი ექსპლოატაციით აშენებდნენ თავის ბედნიერებას გაბატონებული კლასები. მაგრამ ისინი მარტო არ იყვნენ. მათ მიჰყვებოდა გაიძვერათა და მყვლეფელთა მთელი არმია, მათ შორის თვალსაჩინო ადგილი ეჭირათ მაშინდელ თვითმპყრობელებს — ბიუროკრატიული ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. გლეხობის კისერზე იყო ჩამოკიდებული ყველა და ავიწროვებდა მას. სწორედ ამ გარემოების შესახებ ჩივის საწყალი ბერუა, რომლისთვისაც ეს გასაჭირი მართლაც დიდი იყო. გზირსა და „ნათლია“ მამასახლისს მოჰყვებოდა ვაჭარი, რომელიც ერთხელ გადახდილ ვალს მეორედ ახდევინებდა და სხვ. მაგრამ ბერუამ არ იცის, თუ რა ნიადაგზეა აღმოცენებული სოფლის მოხელის და სხვათა თავგასულობა, რით სარგებლობს მათი თვითნებობა და რაში უნდა ეძიოს მან მათი ალაგმვის საშუალებები.

გლეხობის მძიმე ცხოვრების საფუძვლები უმთავრესად იმ სოციალ-ეკონომიური პირობებისაგან მომდინარეობდა, რომლებშიაც იგი იყო ჩაყენებული. სოფლის პატრიარქალურ ცხოვრებაში შეიჭრა ჩარჩი-ვაჭარი. ყოველმხრივ დაბეჩავებული გლეხი მაგრად ჩაება ჩარჩ-ვაჭრის მიერ მოხერხებულად გამართულ ბადეში. სწორედ ასეთ სურათს გვიხატავს პოეტი ლექსში „დემეტრეს ჩივილი“. მასში რაფ. ერისთავი დამაჯერებელ სახეებში იძლევა ბურჟუაზიული ფენების გაუმაძღრობას, თაღლითობასა და ბოროტმოქმედების სურათს. ვაჭარი ათასგვარი გაიძვერული ხერხით ცდილობდა გლეხის მოტყუებას, თავის საწველ ფურად გადაქცევას.

გლეხობის ცხოვრების მძიმე სურათებს რაფ. ერისთავი თავის მრავალ პოეტურ ნაწარმოებში ხატავდა. გლეხობის ცხოვრების დახასიათებას [illegible] დათმობილი აგრეთვე დრამატულ [illegible]ში და სურათებში („რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“, „სცენები“). გლეხობას მწერალი არ გვიხატავდა ბრძოლის ფონზე, არამედ ის გამოიყურებოდა მის ნაწარმოებებში როგორც ქედმოხრილი და დაბეჩავებული.

რაფ. ერისთავის პოეზიაში საგრძნობი ადგილი აქვს დათმობილი პატრიოტულ მოტივს. ამ მოტივის გადმოცემისას იგი მიჰყვება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ - რევოლუციური განმანთავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელ მწერლებსა და მოღვაწეებს. პოეტი უმთავრეს ყურადღებას აქცევს ქართველთა ეროვნული მეობისა და დედა-ენის შენარჩუნების აუცილებლობას. მაგრამ რაფ. ერისთავის პატრიოტული შეხედულებების დამახასიათებელი ნაწარმოებია უმთავრესად „სამშობლო ხევსურისა“. ამ ლექსს თავის დროზე დიდი რეზონანსი ჰქონდა. მასში მოცემულია იდეა სამშობლოს სიყვარულისა, მისი თავდადებული დაცვისა. შეიძლება ითქვას, რომ „სამშობლო ხევსურისას“ ხმა, როგორც მაღალი პოეტური და პატრიოტული ნაწარმოებისა უაღრესად ძლიერია. მან მძლავრი გავლენა მოახდინა შემდეგდროინდელი ქართული პატრიოტული პოეზიის განვითარებაზე.

რაფ. ერისთავის მთელ რიგ ლექსებში („ნეტავ რას სჩივი, [illegible]“, „რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო“, „რაზე მიწყრები ყეენო?“ და სხვ.) ვხვდებით ქართველთა წარსული გმირობის და სამშობლოსათვის თავდადების იდეალიზაციას.

ცოცხალი და ნამდვილი ხალხური ენა შეადგენს რ. ერისთავის პოეტური ნაწარმოებების უპირველეს ღირსებას. რაფ. ერისთავმა თავის ლექსებში ბევრი ნამდვილი გლეხური სიტყვა და გამოთქმები შეიტანა და სალიტერატურო ენასაც მიაღებინა. პოეტი შეგნებულად გვერდს უხვევდა ფრაზის ჩამოყალიბების ყოველგვარ სირთულეს, იბრძოდა სისადავისათვის, რაც მის ხალხურ შემოქმედებასთან აახლოვებს.

რაფ. ერისთავის შემოქმედებითი პოეტური განვითარების პროგრესულ ეტაპს წარმოადგენს სინამდვილისადმი რეალისტური მეთოდით მიდგომის პერიოდი. სწორედ მის საფუძველზე გამოამჟღავნა მან თავისი პოეზიის უძლიერესი მხარე და გვიჩვენა გლეხობის კონკრეტული სახეები (ბერუა, თანდილა, სესია, ტეტია, დემეტრე და სხვ.).

ქართული ლიტერატურის სხვა გამოჩენილ წარმომადგენლებთან ერთად რაფ. ერისთავი წარმოადგენს საყვარელ მწერალს ჩვენი ბედნიერი და თავისუფალი ხალხისათვის.

შალვა რადიანი

დღეს იწყება საგაზაფხულო საკოლმეურნეო ბაზრობა

დღეს ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქში—თბილისში დაიწყება წინასადღესასწაულო საგაზაფხულო ბაზრობა.

მიმდინარე საგაზაფხულო საკოლმეურნეო ბაზრობაში, რომელიც 23 აპრილიდან 5 მაისამდე გაგრძელდება, მონაწილეობას მიიღებს საქართველოს 17 მოწინავე რაიონი. ამ რაიონებში რაიაღმასკომების თავმჯდომარეთა უშუალო მონაწილეობით შექმნილია სპეციალური კომისიები, რომლებმაც მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარეს, და რაიონებიდან კოლმეურნეთა ჩამოსვლა ორგანიზებულად მოხდება.

დღეს თბილისის ბაზარს დიდძალი სასოფლო პროდუქტებით ესტუმრება ბორჩალოს რაიონის 53 მსხვილი კოლმეურნეობა, ისინი ჩამოიტანენ 6 ტონამდე კარტოფილს, აგრეთვე ხორცს, ხახვს, კვერცხს, ფრინველს, ლობიოს და სხვადასხვა ბოსტნეულს. მარტო საგარეჯოს რაიონის 24 მოწინავე კოლმეურნეობა თბილისის ბაზარზე ჩამოიტანს 11 ტონა კარტოფილს, ჩამოიყვანს და გაჰყიდის მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვს, 960 ფრთა ფრინველს, 50 ღორს, ყველს, კვერცხს და სხვ.

უხვი პროდუქტებით ჩამოვლენ აგრეთვე დუშეთის რაიონის კოლმეურნეობები და კოლმეურნეები. ბაზრობაზე წარმოდგენილი იქნება რაიონის 25 მსხვილი კოლმეურნეობა, ისინი თბილისის ბაზარს მიაწვდიან 10 ტონა კარტოფილს, ცხვარს, მსხვილფეხა საქონელს, თაფლს, კვერცხს, ლობიოს და სხვ.

ასევე საკოლმეურნეო პროდუქტების დიდი მარაგით ჩამოვა სამტრედიის რაიონის 22 კოლმეურნეობა, ზესტაფონის—10, ალბულაღის, წალკის, ბოგდანოვკის, ლუქსემბურგისა და სხვა რაიონების, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის მილიონერი კოლმეურნეობები. მათ შესახვედრად გაცხოველებით ემზადებიან თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების მუშაკები. ქალაქის მთავარ შემოსასვლელებთან შექმნილია 5 სამორიგეო პუნქტი, რომლებიც უხელმძღვანელებენ რაიონებიდან ჩამოსულთ და გაანაწილებენ მათ თბილისის სხვადასხვა ბაზრებზე. სამორიგეო პუნქტები განუწყვეტლივ იმუშავებენ. თვითეულ პუნქტზე მიმაგრებულია 6 კაცი.

რაიონებიდან პროდუქტების შეუფერხებლად გადმოზიდვის საქმეში დახმარებისათვის თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველომ გამოჰყო სპეციალური ავტომანქანები, რომლებიც მთელი დღეღამის განმავლობაში იმუშავებენ.

შ. ინწკირველი

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

გადადებულ პარტიების დამთავრებისას, რომელიც 20 აპრილს შესდგა, რაგოზინმა მოუგო რომანოვსკის და ბოტვინიკმა რაბინოვიჩს.

ჩისტიაკოვ-მაკაგონოვის, რომანოვსკი-ბოტვინიკის, დუბინინ-ტოლუშის, ბონდარევსკი-ბელავენეცის, ჩისტიაკოვ-ჩეხოვერის, ლისიცინ-ტოლუშის და ბელავენეც-რაბინოვიჩის პარტიები ყაიმით დასრულდა.

ლევენფიში პარტიის გაუთამაშებლივ დანებდა მაკაგონოვს, რაგოზინი—ბონდარევსკის.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის თეატრში — „ოტელო“

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში — „კოლმეურნის ქორწინება“.

ოპერისა და ბალეტის თეატრში — „დაისი“.

პარტკაბინეტებში

23 აპრილს ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი სტალინის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში აწყობს ამხ. ათაბეკოვის ლექციას თემაზე: სსრ კავშირის ეკონომიურ - გეოგრაფიული მიმოხილვა. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ამავე დღეს ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება საინსტრუქციო მოხსენება მომხსენებელთათვის თემაზე: 1 მაისი — საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღე. მომხსენებლები: ქართულ ენაზე ამხ. შონი[illegible]ფიშვილი, რუსულზე—ამხ. კარტერე. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

○

ლ. კეცხოველის სახ. პარტპროპაგანდის სახლში პროპაგანდისტებისა, მომხსენებლებისა, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შესწავლას, ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე.

კონსულტაცია ტარდება დილის 10 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 11 საათამდე ქართულ და რუსულ ენებზე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. შალვა სევერიანეს-ძე ფოცხვერიას და შალვა თადეოზის-ძე ხურცილავას 3 დღის ვადაში გამოცხადდნენ 26 კომ. სახ. რაიკომის სააღრიცხვო განყოფილებაში.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

პროფ. კონსტანტინე კაპანელი

უილიამ შექსპირი

(დაბადებიდან 375 წლისთავის გამო)

შუა საუკუნეების დასასრულს დასავლეთ ევროპის სოციალურ-ისტორიულ მოძრაობათა ცენტრი სამხრეთიდან თანდათანობით ჩრდილოეთისაკენ გადადის: ხმელთაშუაზღვის ადგილს იკავებენ ატლანტის ოკეანე და ჩრდილოეთის ზღვები; ფლორენციისა, ვენეციისა და გენუის ნაცვლად ისტორიის არეზე ჩნდებიან ახალი სახელმწიფოები — დანია, ფლანდრია, ინგლისი.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ინგლისელები თავისი გემებით მიმოდიან თითქმის მთელს მსოფლიოში. ოკეანეზე ისინი ყაჩაღობენ, წართმეული საქონელი მოაქვთ ლონდონში და ინაწილებენ: ნაწილი მიაქვს ყოველთვის მეფე ელისაბედს. ცნობილი ყაჩაღები—ფრენსის დრეკი, ვალტერ რალეი, ფრიბიშერი მეგობრები არიან ელისაბედ მეფისა. ფრენსის დრეკს ელისაბედმა რაინდის წოდება უბოძა.

სწრაფი საზოგადოებრივ-ეკონომიური ცვლილებები ასხვაფერებენ ადამიანთა ურთიერთობას, განცდებს, მისწრაფებებს: იცვლება საუკუნეებით განმტკიცებული ყოფაცხოვრება, მისი სისტემა, მორალი, ნორმები; ისტორიას შემოაქვს სხვა პრინციპები და ნორმები: ჯენტლმენები იწყებენ ვაჭრობას, რაინდები გადაიქცნენ კომივოიაჟორებად, ფეოდალებმა და ეპისკოპოსებმა მეჯოგეობა დაიწყეს. სასახლე-კოშკები დაცალიერდნენ.

ასეთ საზოგადოებრივ ისტორიულ გარემოცვაში ქ. სტრეტფორდში 1564 წლის 23 აპრილს დაიბადა უილიამ შექსპირი. შექსპირის მამა არ იყო ღარიბი, მაგრამ მოულოდნელად ისე გაკოტრდა, რომ იძულებული გახდა პატარა უილიამი გამოეყვანა სკოლიდან უსახსრობის გამო. ცუდი ოჯახური პირობები აიძულებენ შექსპირს წავიდეს ლონდონში სამსახურის საძებნელად. ჩამოსვლისთანავე შექსპირი შეეწყობა მისი თანამემამულეს ბერბეჯის ხელმძღვანელობით არსებულ თეატრს.

ამ დღიდან შექსპირის შემოქმედება შეიძლება გაიყოს ოთხ პერიოდად: პირველ პერიოდს (1587 — 1594 წ.) ეკუთვნიან პოემები—„ვენერა და ადონისი“, „ლუკრეციუსი“, პიესები—„ტიტ ანდრონიკი“, „შეცდომათა კომედია“, „ორი ვერონელი“ და სხვ.. მეორე პერიოდში (1591—1601 წ.) დაწერილია „მეთორმეტე ღამე“, „ყველაფერი კარგია, რაც კარგად თავდება“ და დრამები ინგლისის ისტორიიდან—„მეფე ჯონი“, „რიჩარდ მეორე“, „რიჩარდ მესამე“, „ჰანრიხ IV“, „ჰანრიხ V“. მესამე პერიოდში (1602—1608 წ.) დაწერილია მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი ძეგლები — „ჰამლეტი“, „მაკბეტი“, „ოტელო“, „მეფე ლირი“, „ტიმონ ათინელი“ და დრამები რომის ისტორიიდან „კორიოლანი“, „იულიოს კეისარი“, „ანტონიუსი და კლეოპატრა“ მეოთხე და უკანასკნელ პერიოდში დაწერილია „ციმბელინი“, „ზამთრის ზღაპარი“, „ქარიშხალი“.

1608 წელს დაიბეჭდა პირველად „სონეტები“, რომლებსაც ერთგვარი ავტობიოგრაფიული ხასიათი აქვთ.

ბურჟუაზიულ - იდეალისტურმა კრიტიკამ შექსპირი დიდიხანია გამოაცხადა არისტოკრატიის პესიმისტური განწყობილების პოეტად, რომელსაც არ აინტერესებს გარდა მეფეებისა და მინისტრების ცხოვრებისა, არცერთი სხვა სულიერი ფენის განცდები და მისწრაფებები. მარქსიზმის კლასიკოსებმა დაინახეს, რომ შექსპირი არისტოკრატიისა და პესიმისტური განწყობილების მხატვარი კი არ არის, არამედ კაცობრიობის დიდი სოციალურ-ისტორიული ტკივილების და პროგრესული იდეალების გამომსახველია: **კარლ მარქსი** 1859 წ. 19 აპრილს „ფრანც ფონ ზიკინგენის“ გამო ლასალს სწერდა: „ჩემი შეხედულებით, დრამაში იდეური მომენტის გვერდით არ უნდა იყოს დავიწყებული მომენტი რეალისტური, შილლერის გვერდით — შექსპირი“... ამავე წელს, 18 მაისს **ენგელსი** ლასალს სწერდა: „ძველების დახასიათება ჩვენს დროში საკმარისი არ არის, — და აქ, მე ვფიქრობ, თქვენ შეგეძლოთ უფრო მეტი ანგარიში გაგეწიათ შექსპირის მნიშვნელობისათვის დრამის განვითარების ისტორიაში“.*) კარლ მარქსი თავის ფილოსოფიურ-ეკონომიურ წერილებში ტრაგედია „ტიმონ ათინელის“ მეოთხე აქტის დახასიათების დროს ამბობს: „შექსპირი საუცხოოდ გამოსახავს ფულის არსს“.**)

რისთვის ვაფასებთ შექსპირს და რა აკავშირებს ჩვენს კულტურასთან შექსპირის შემოქმედებას?

შექსპირის სოციალურ - ისტორიული გარემოცვა წარმოადგენს კაპიტალიზმის ფეოდალიზმთან ბრძოლების დიდ ასპარეზს: შექსპირის თვალწინ იშლება სიმკაცრე და სირთულე ევროპის კულტურის კაპიტალიზაციის პირვანდელი ეტაპისა, მისი გავლენისა ადამიანის ხასიათსა და ქცევაზე; კაპიტალისტური კონკურენციის თარეში, ფეოდალური ციხე-კოშკების ყოფა - ცხოვრების დაშლა, სოციალური ფენების სისხლიანი შეტაკებები და ბრძოლები, დიდი ოკეანეების და ქვეყნების გაცნობა კაცობრიობის მიერ ართულებენ ევროპის სოციალური ფსიქოლოგიის შინაგან ვითარებას: შექსპირის შემოქმედების გაშლილი ხასიათის, მისი უნივერსალიზმის ამოსავალი წერტილი აქ, ამ გარემოცვაშია მოცემული.

შექსპირის ტრაგედიებში ადამიანის დაღუპვისა და წინსვლის შესაძლებლობა ბედისწერისა და ღვთაებისაგან კი არ არის მოცემული, არამედ განისაზღვრება საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარებით, მასში მოცემული შინაგანი აუცილებლობით, ისტორიის წამყვანი ძალის მოთხოვნით: იაგოს უნდა ოტელოს დაღუპვა არა იმიტომ, რომ ოტელო შავკანიანია, ან ბედისწერის მსხვერპლია, არამედ იმიტომ, რომ ოტელოში ის ხედავს კონკურენტს, მოწინააღმდეგეს, დამჩრდილავს საზოგადოებრივ გარემოცვაში.

შექსპირი დიდი რეალისტია, დიდი მხატვარი და მოაზროვნე: შექსპირის სტილი ცხოვრების სიღრმიდან ამოდის და ცხოვრების აუცილებლობით განისაზღვრება.

შექსპირი თავისი იდეოლოგიური პრინციპებით და მსოფლმხედველობით წინააღმდეგია როგორც ფეოდალიზმისა, ისე კაპიტალიზმისა; ფეოდალური ფორმაციის გამანადგურებელი კრიტიკა შექსპირმა მოგვცა „ჰამლეტსა“ და „მაკბეტში“. ტრაგედია „ჰამლეტი“ არის ევროპის ინტელიგენციის პროგრესული ნაწილის აჯანყება ფეოდალური ყოფაცხოვრების, მისი ზნეობრივი და ესთეტიკური ჩვევების წინააღმდეგ; ამ ტრაგედიაში დახასიათებულია სასახლის არისტოკრატიის ვერაგული ცხოვრება: ძმის მკვლელობა, ცოლის გარყვნილება და ღალატი, ცბიერება, ფარისევლური ქცევა, საერთოდ საზოგადოებრივი ზნეობის დაცემა; კეთილშობილსა და პატიოსან ჰამლეტს სული ეხუთება ასეთ პირობებში: ის ეძებს სიმართლეს, ადამიანობას, ჭეშმარიტებას; გარშემო ხედავს საწინააღმდეგო მოვლენებს: „ქვეყანა საპყრობილეა, — ამბობს ჰამლეტი, — რომელშიაც ბევრი შენობაა, ბევრი ხვრელი, ბევრი ჯურღმული; დანია ერთი უარესი ჯურღმულთაგანია“.

აქვე, ტრაგედიის დასაწყისშივე, მოცემულია ისტორიის ახალი ძალა ფორტინბრასის მეთაურობით — ძალა უმიწაწყლო ხალხისაგან შემდგარი, რომელიც საბოლოოდ ეპატრონება დანიას და საფლავისაკენ მიასვენებს დანიის მმართველობის უკანასკნელი დინასტიის წარმომადგენლებს:

— მათხოვრები ქვეყნის სხეულნი არიან, მეფეები იმათი აჩრდილნი— ეუბნება ფილოსოფიურ - სიმბოლიურად ჰამლეტი როზენკრანცს. შექსპირი მშვენივრად ამჩნევს ისტორიის მამოძრავებელ ძალას, საზოგადოებრივი საქმიანობისა და კულტურის ძარღვს — შექსპირი ამჩნევს „დაბალი“ ფენების არსებობის მნიშვნელობას და ამავე დროს ხედავს გაბატონებული კლასების მიერ მითვისებულ პრივილეგიებს; ოფელიამ თავი დაიხრჩო წყალში, და, თანახმად არსებული რელიგიური წესებისა, ოფელია არ უნდა დამარხულიყო ქრისტიანულად, მაგრამ შექსპირმა იცის, რომ რელიგია სარგებლობს და ხელმძღვანელობს სოციალურად გაბატონებულ წესებით და მწარე ირონიით ალაპარაკებს თავის გმირს: „იცი რა გითხრა, — ამბობს მესაფლავე — **„თავადის ქალი რომ არ ყოფილიყო, ქრისტიანულად არ დამარხავდნენ.** მართალი თუ გინდა ეს არის“.

„რიჩარდ III“ და „მაკბეტი“ კოშმარული სახეებია საშუალო საუკუნეების ფეოდალური ფორმაციისა. შექსპირი მთელი თავისი არსებით **ანტიფეოდალური და ჰუმანიური განწყობილების მწერალია.** არანაკლებად ეზიზღება მას კაპიტალისტური საზოგადოებაც; ტრაგედია „ტიმონ ათინელი“ არის კაპიტალიზმის და კაპიტალისტური კულტურის გამანადგურებელი კრიტიკა: ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ შექსპირი გამოაცხადა პესიმიზმის, არისტოკრატიული მელანქოლიის პოეტად: სინამდვილეში შექსპირის „პესიმიზმი და „მელანქოლია“ არის ფეოდალური და კაპიტალისტური ფორმაციების უარყოფა; ამ უარყოფიდან შექსპირი იხედება მომავლისაკენ, ელის მომავალი ეპოქის ადამიანებს, რომლებიც გადააკეთებენ ამ ქვეყანას ჭეშმარიტებისა და სიმართლის გზით, და განამტკიცებენ ქვეყნად პატიოსნებასა და ადამიანობას.

ასეთი ეპოქა და ადამიანები უკვე მოვიდნენ და თავიანთ მიზნებს ანხორციელებენ საბჭოთა მიწა-წყალზე დიდი **სტალინის** მეთაურობით: ამიტომ არცერთ ქვეყანაში დღეს შექსპირს არ იგონებენ ისეთი გულწრფელი პატივისცემითა და სიყვარულით, როგორც ჩვენში.

◆

---

*) კარლ მარქსი. „წერილები ლასალისადმი“.

**) М. Начкина „Литературное оформление Капитала Маркса“ 1932. стр. 47, 55.

გაზ. „კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების მსმენელთა

მორიგი მეცადინეობა

შესდგება დღეს, 23 აპრილს, რედაქციის ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 16) საღამოს სრულ 7 საათზე. კურსების მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს, რომ ინსტიტუტის საბჭოს ღია სხდომებზე დაიცავენ

დისერტაციებს:

1. 24 მაისს, დღის 12 საათზე, პირველი ტუბდისპანსერის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 14) ექიმ მეც. კანდიდატი, დოც. გიორგი **ბახტაძე** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე — „ლეიდენ-ვესტვალის მწვავე ატაქსიის პრობლემისათვის“.

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **ს. ციფშიძე**. პროფ. **მ. წინამძღვრიშვილი** და პროფ. **პ. ქავთარაძე.**

2. 13 მაისს, საღამოს 8 საათზე, სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) ექიმი **დ. ძან[illegible]არია** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე—„თირკმლების ფუნქციონალური ცდების მნიშვნელობა წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერტროფიის დროს“.

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **ე. თოდაძე** და დოც. **ვ. ანდღულაძე.**

3. 13 მაისს. საღამოს 9 ნახ. საათზე, სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში, ექიმი **ილია კვანტალიანი** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე—„ქალთა სასქესო ორგანოებზე პელაგრის გავლენის საკითხისათვის“.

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **გ. ლოლობერიძე** და დოც. **ა. ჯ[illegible]ენაძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12).

581 **დირექცია.**

ორჯონიკიძის სახელობის რაიშემსალაროს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. ვაჟა ბარამიძეს მისი ძმის

იოსებ ივანეს-ძე ბარამიძის

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 23/IV, 6 ს. გამოსვენება 24/IV. მარის, 22. 5 ს. 1558

დამწუხრებული ცოლი ნინო, ძმები სოსო, სანდრო, ვასილ, ნიკო, სტეფანე ცოლშვილით, და გენრიეტა მეუღლით იუწყებიან ინჟინერ

გრიგოლ სიმონის-ძე გალუსტაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, 8 ს. გამოსვენება 24/IV, 5 ს. ნინოშვილის, 27. 1552

სახუნტის სტუდენტები: გუგუჩია, გიგიბერია, ქარაია, ჯოლოხავა, სართანია, ბუალავა, გულუხია, კოქლამშვილი, სარჯველაძე გოგია, მანუჩაროვი იუწყებიან [illegible] მამის

ნესტორ კვარაცხელიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა ზუგდიდში. 25/IV. 1554

სტამბა „კომუნისტის“ ადმინისტრაცია და კოლექტივი იზიარებენ ამავე სტამბის მბეჭდავის ამხ. მინა აბაიშვილის მწუხარებას მისი ძმის

სპირიდონ (ზიზიკო) სოფრომის-ძე აბაიშვილის

გარდაცვალების გამო. 50

ღრმად დამწუხრებული მშობლები თამარ ბარამიძე და დათიკო რამიშვილი იუწყებიან ერთადერთი შვილის პატარა

მზიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს 7 ს., მალაკის, 56, დაკრძალვა 24/IV, 1 ს. კუკიის სასაფლაოზე. 1573

პაშა, გრიშა, თამარ, ბიჭიკო, შოთა და ამირან ჯიქიძეები მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი ბიძის

ვიქენტი ოტიას-ძე უვანიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/IV, ქ. ფოთში, ნინოშვილის, 28. 1557

ვერა, მარიამ, სიმონ და გიორგი დოლიძეები იუწყებიან ძვირფასი რძლის

ტონია კასრაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23/IV, 5 ს. ფოთის, 9. 1017

მისამართი: რედაქციის — თბილისი. რუსთაველის პროსპ № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57 61, სასოფლო-სამეურნეოს 3 73 40 წერილების 3 73 24. პ-მგ. მორიგის 3—26—67, გამომცემლობის — 3—51 81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ქამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული—1748